რუსეთის ეკლესიის წინამძღვრის თავმჯდომარეობით გაიმართა XXXI საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავების პლენარული სხდომა

სსკგ-ის კომუნიკაციების სამსახური, 01.25.2023. 25 იანვარს მოსკოვში, კრემლის სახელმწიფო სასახლეში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, კირილეს თავმჯდომარეობით გაიმართა XXXI საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავების საზეიმო პლენარული სხდომა – „თანამედროვეობის გლობალური გამოწვევები და ადამიანის სულიერი არჩევანი“.

ღონისძიებას წარუძღვა საკითხავების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, რელიგიური განათლებისა და კატეხიზაციის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, ეკატერინბურგისა და ვერხოტურის მიტროპოლიტი ევგენი.

დილით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა საღმრთო ლიტურგია აღასრულა მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძარში. ღვთისმსახურებაზე ილოცეს ღონისძიების მონაწილეებმა.

კრემლის სახელმწიფო სასახლეში საკითხავების გახსნის ცერემონიაზე საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცენტრალურ ფედერალურ ოლქში ი.ო. შჩეგოლევი; რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა.ვ. იაცკინი; რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ტოლსტოი; რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ.ა. კოლოკოლცევი; რუსეთის ფედერაციის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვ.ნ. ფალკოვი; რუსეთის ფედერაციის განათლების მინისტრი ს.ს. კრავცოვი; რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრი ო.ბ. ლიუბიმოვა; სახელმწიფო მდივანი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე.ს. ივანოვი; მოსკოვის მერის მოადგილე მოსკოვის მთავრობაში რეგიონული უსაფრთხოებისა და საინფორმაციო პოლიტიკის საკითხებში ა.ნ. გორბენკო.

დარბაზში 5 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა: ყოვლადუსამღვდელოესი მღვდელმთავრები - წმინდა სინოდისა და უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრები, მიტროპოლიების მეთაურები, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსები, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, რუსეთის რელიგიათაშორისო საბჭოს წევრები, საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ფედერალურ ოლქებში, რუსეთის ფედერაციის ფედერალური სამსახურების ხელმძღვანელები, ფედერალური და რეგიონული ორგანოების ხელისუფლების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, რუსეთისა და საზღვარგარეთის 250-მდე უნივერსიტეტის რექტორი და წარმომადგენელი, ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ფორუმის მონაწილეთა რიცხვში იყვნენ წმინდა სინოდის მუდმივი წევრები – ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური, ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი; სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; მოსკოვის მიტროპოლიის საპატრიარქო ვიკარი, კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე; სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი, მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტი ბენიამენი; მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

უწმიდნესმა პატრიარქმა კირილემ XXXI საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავები გახსნილად გამოაცხადა. გაისმა რუსეთის ფედერაციის ჰიმნი.

ეკატერინბურგისა და ვერხოტურის მიტროპოლიტმა ევგენიმ თავის შესავალ სიტყვაში, კერძოდ, აღნიშნა:

„წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით და თქვენი პირველიერარქიული კურთხევით, 2023 წლის საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო საკითხავები ეძღვნება თემას: „თანამედროვეობის გლობალური გამოწვევები და ადამიანის სულიერი არჩევანი“.

2022 წლის სექტემბრიდან დღემდე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში საკითხავების რეგიონული ეტაპი იმართება. სულ მცირე მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ფორუმის მუშაობაში ქვეყნის ყველა რეგიონში და საზღვარგარეთის ეპარქიებში.

ახალი ამბებიდან, რეგიონული საკითხავების პირდაპირი ეთერიდან ჩანს, თუ რამდენად ღრმა რეზონანსი გამოიწვია განცხადებული საკითხის განხილვამ. ხალხში, დიდსა თუ პატარა ქალაქებში, ოჯახებში – ყველგან სახეზეა ბოროტების მიუღებლობის იმუნიტეტის ჩამოყალიბება, თავსმოხვეული ცრუ ღირებულებების მიუღებლობა. გვჯერა, რომ ეს იმუნიტეტი დაგვეხმარება, დავიცვათ, საკუთარი თავიც და ჩვენი შვილებიც.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შეეწევა დედამიწაზე ცხოვრების შენებას განხორციელებული ღმერთის მაცხოვნებელი მცნებების მიხედვით. გვჯერა, რომ ჩვენი შრომა მიმდინარე საკითხავებში თავის წვლილს შეიტანს ამ კეთილ საქმეში”.

ნაჩვენები იქნა საკითხავების თემასთან დაკავშირებული ვიდეორგოლი.

შემდეგ, საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ.ვ. პუტინის მისალმება გააჟღერა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ცენტრალურ ფედერალურ ოლქში ი.ო. შჩეგოლევმა.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი მეცნიერებისა და განათლების მინისტრმა ვ.ნ. ფალკოვმა წაიკითხა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მ.ვ. მიშუსტინის მისალმება.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ვ.ი. მატვიენკოს მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა.ვ.

იაკკინმა.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილემ პ.ო. ტოლსტოიმ გააჟღერა რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარის ვ.ვ. ვოლოდინის მისალმება.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს რუსეთის ფედერაციის განათლების მინისტრმა ს.ს. კრავცოვმა, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ.ა. კოლოკოლცევმა და რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრმა ო.ბ. ლიუბიმოვმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, ს.ვ. ლავროვის სახელით მისალმებელი სიტყვით გამოვიდა მინისტრის მოადგილე ე.ს. ივანოვი.

რუსეთის დედაქალაქის მერის, ს.ს. სობიანინის მისალმება გააჟღერა მოსკოვის მერის მოადგილემ მოსკოვის მთავრობაში რეგიონული უსაფრთხოებისა და საინფორმაციო პოლიტიკის საკითხებში ა.ნ. გორბენკომ.

დასასრულ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ პლენარული სხდომის შედეგები შეაჯამა.

ტრანსლიაცია განხორციელდა ტელეარხებზე „როსია 24“, „სოიუზი“, „სპასი“, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ვებსაიტზე Patriarchia.ru, ასევე საერთაშორისო საშობაო კითხვის პორტალზე და „PravoObraz“-ის მობილურ აპლიკაციაში.

სხდომის ოფიციალური ნაწილის შემდეგ კონცერტი გაიმართა, – იუწყება **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.**

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89989/